საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევა

(მეექვსე ტალღის ძირითადი შედეგები)

MICS PLUS

unicef

17.02.2022

ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევა[1]

(მეექვსე ტალღა)

I. გამოკვლევის აღწერილობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაგრძელდა ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში გამოკვლევა, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. გამოკვლევა მიმდინარეობდა მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (MICS6) შერჩევის საფუძველზე. გამოკვლევის I-VI ტალღების ფარგლებში მიღებულ იქნა სხვადასხვა სახის ინფორმაცია COVID-19-ის პანდემიის დროს ბავშვებისა და ოჯახების მდგომარეობის შესახებ.

მონაცემები შეგროვდა როგორც ქალაქებში, ისე სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებში. ქვეყნის მასშტაბით შერჩევის ზომა განისაზღვრა 1 996 შინამეურნეობით, მათ შორის ქალაქად 962 ერთეულით, ხოლო სოფლად 1 034 ერთეულით. მონაცემების შეგროვება განხორციელდა პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით, კომპიუტერიზირებული სატელეფონო ინტერვიუს (CATI) მეთოდით.

გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოები 2020 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო, განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული I-VI ტალღების კითხვარების ადაპტაცია, ტესტირება, საველე პერსონალის ტრენინგები და ჩატარდა საპილოტე გამოკვლევები. გამოკვლევის მეექვსე ტალღის კითხვარით გათვალისწინებული მონაცემები შეგროვდა 2021 წლის დეკემბერში.

გამოპასუხების დონემ 82.0 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ქალაქის ტიპის დასახლებებში — 80.5 პროცენტი, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში — 83.5 პროცენტი.

II. გამოკვლევის ძირითადი შედეგები

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისგან თავის არიდებას მეტ-ნაკლებად (ყოველთვის, ხშირად ან ხანდახან) ახერხებდა რესპონდენტების 69.0 პროცენტი, ხოლო 31.0 პროცენტი იშვიათად ან საერთოდ ვერ ახერხებდა. იმის მიზეზად, თუ რატომ ვერ ახერხებდნენ, რესპონდენტების მიერ სახელდება საყიდლებზე წასვლა (82.8%),

[1] „მონაცემთა მონიტორინგი რეალურ დროში/მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის დამატება“.

სამსახურში სიარული (71.9%), აფთიაქში წასვლა (22.4%), სტუმრად წასვლა ან შეხვედრა ვინმესთან (22.0%), ვიზიტი კერძო დაწესებულებაში მომსახურების მისაღებად (9.0%), ვიზიტი სახელმწიფო დაწესებულებაში მომსახურების მისაღებად (8.2%), ვიზიტი სამედიცინო დაწესებულებაში (4.4%) და კორონავირუსის ტესტის ჩატარება (0.4%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რესპონდენტთა პროცენტული წილი, რომლებიც გამოკითხვამდე გასული 7 დღის განმავლობაში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისგან თავის არიდებას ახერხებდნენ იშვიათად ან საერთოდ ვერ ახერხებდნენ, მიზეზების მიხედვით.

დიაგრამა №1

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისგან იშვიათად თავის არიდების ან საერთოდ ვერ არიდების მიზეზების პროცენტული წილი

(%)



17.02.2022

გამოკვლევის თანახმად, გამოკითხვამდე გასული 7 დღის განმავლობაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისას, COVID-19-სგან თავდაცვის მიზნით, რესპონდენტების 86.1 პროცენტი პირბადეს ატარებდა ყოველთვის, 11.5 პროცენტი — ხშირად, 1.4 პროცენტი — ხანდახან, 0.7 პროცენტი — იშვიათად, 0.3 პროცენტი — არასდროს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რესპონდენტთა პროცენტული განაწილება, გამოკითხვამდე გასული 7 დღის განმავლობაში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისას პირბადის ტარების სიხშირის მიხედვით.

დიაგრამა №2

რესპონდენტთა პროცენტული განაწილება, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნისას პირბადის ტარების სიხშირის მიხედვით

(%)



17.02.2022

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც ეფუძნება შინამეურნეობების მიერ დეკლარირებულ ინფორმაციას, შინამეურნეობების 1.8 პროცენტში, ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური დროებით ან ხანგრძლივი პერიოდით, 2021 წლის ნოემბრიდან გამოკითხვის მომენტამდე პერიოდში. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა შეადგენს 1.7 პროცენტს საქალაქო ტიპის დასახლებებისთვის, ხოლო 2.0 პროცენტს — სასოფლო ტიპის დასახლებებისთვის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შინამეურნეობების პროცენტული წილი საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით, რომელთა ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური 2021 წლის ნოემბრიდან გამოკითხვის მომენტამდე პერიოდში, დროებით ან ხანგრძლივი პერიოდით.

დიაგრამა №3

შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომელთა ერთმა წევრმა მაინც დაკარგა სამსახური 2021 წლის ნოემბრიდან

(%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2021 წლის ნოემბრიდან გამოკითხვის მომენტამდე პერიოდში ქვეყანაში შინამეურნეობების 8.8 პროცენტს შეუმცირდა საშუალო თვიური შემოსავლები. ქალაქის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი 8.2 პროცენტს, ხოლო სოფლად 9.6 პროცენტს შეადგენს.

შემოსავლის შემცირების ძირითად მიზეზად სახელდება COVID-19 და მასთან დაკავშირებული გარემოებები, როგორიცაა კომპანიის/ ბიზნესის მოთხოვნის შემცირება, რომელშიც მუშაობდა შინამეურნეობის წევრი ან ეკუთვნოდა შინამეურნეობის წევრს (41.1%), გარემოება, რომ

შინამეურნეობის წევრს დაუდასტურდა COVID-19 და ვერ მუშაობდა (6.7%), კომპანიის/ ბიზნესის დახურვა, სადაც მუშაობდა შინამეურნეობის წევრი (6.5%), შინამეურნეობის წევრი იმყოფებოდა კარანტინში და ამის გამო ვერ მუშაობდა ან ვერ დადიოდა სამსახურში (2.9%), შინამეურნეობის წევრის ხელფასის შემცირება (2.4%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომელთა საშუალო თვიური შემოსავლები შემცირდა COVID-19-თან დაკავშირებული მიზეზების გამო, დასახლების ტიპის მიხედვით.

დიაგრამა №4

შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომელთა საშუალო თვიური შემოსავლები შემცირდა COVID-19-თან დაკავშირებული მიზეზებით

(%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შეკითხვაზე არიან თუ არა შეწუხებული, რომ თავად ან მათი შინამეურნეობის წევრი შეიძლება COVID-19-სგან მძიმედ ავად გახდეს, რესპონდენტების 49.6 პროცენტი პასუხობს, რომ ძალიან შეწუხებულია, 32.2 პროცენტი — შეწუხებულია ზომიერად, 10.1 პროცენტი — მეტ-ნაკლებად, 3.5 პროცენტი — უმნიშვნელოდ, ხოლო 3.1 პროცენტი საერთოდ არ არის შეწუხებული.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროცენტული განაწილება, რესპონდენტის წუხილის მიხედვით იმაზე, რომ თავად ან მისი შინამეურნეობის წევრი შეიძლება COVID-19-სგან მძიმედ ავად გახდეს.

დიაგრამა №5

პროცენტული განაწილება, რესპონდენტის წუხილის მიხედვით იმაზე, რომ თავად ან მისი შინამეურნეობის წევრი შეიძლება COVID-19-სგან მძიმედ ავად გახდეს

(%)



17.02.2022

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა პროცენტული წილი, ვინც გაიკეთა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის სულ მცირე პირველი დოზა და ჰქონდა რაიმე გვერდითი მოვლენა, 36.9 პროცენტს შეადგენს. გვერდით მოვლენებს შორის ყველაზე ხშირად სახელდება ლოკალური ტკივილი (37.2%), სიცხე (33.3%), დაქანცვა/ დაღლილობა (32.2%), სახსრების ტკივილი (24.2%), თავის ტკივილი (16.3%), კუნთების ტკივილი (14.9%), სისხლის მაღალი წნევა (7.3%), გულისრევის შეგრძნება (3.8%), ლოკალური სიწითლე (3.7%), შფოთვა/ მოუსვენრობა (3.5%), ლოკალური ლიმფური კვანძების დასიება (1.1%), ლოკალური შეშუპება (0.8%) და ღებინება (0.5%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ რესპონდენტთა პროცენტული წილი, ვინც გაიკეთა COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის სულ მცირე პირველი დოზა და ჰქონდა გვერდითი მოვლენები, მათ მიერ დასახელებული გვერდითი მოვლენების მიხედვით.

დიაგრამა №6

რესპონდენტების პროცენტული წილი გვერდითი მოვლენების მიხედვით
(%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტებს, ვისაც არ გაუკეთებია COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა და ძალიან მოსალოდნელია ან მოსალოდნელია, რომ გაიკეთონ, არჩევანის არსებობის შემთხვევაში, 56.0 პროცენტი გაიკეთებდა პფაიზერ-ბიონტექს, სინოფარმს — 35.0 პროცენტი, სინოვაკს — 16.2 პროცენტი, მოდერნას კი — 1.1 პროცენტი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია იმ რესპონდენტების პროცენტული წილი, ვისთვისაც ძალიან მოსალოდნელია ან მოსალოდნელია, რომ გაიკეთონ ვაქცინა, ვაქცინის სასურველი ბრენდების მიხედვით.

დიაგრამა №7

რესპონდენტების პროცენტული წილი, ვაქცინის სასურველი ბრენდების მიხედვით

(%)



17.02.2022

გამოკვლევის თანახმად, იმის მიზეზად, რომ არ აქვთ სურვილი ან არ გადაუწყვეტიათ COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთება, რესპონდენტების 46.4 პროცენტი ასახელებს ვაქცინის გვერდით მოვლენებს, 40.2 პროცენტის აზრით, ვაქცინა ძალიან ახალია, სწრაფად შეიქმნა და საკმარისად არ არის გამოცდილი, რესპონდენტების 27.4 პროცენტისათვის ჯანმრთელობის არსებული პრობლემებია მიზეზი, 15.4 პროცენტი ფიქრობს, რომ ვაქცინა იწვევს სიკვდილს ან უნაყოფობას, 12.8 პროცენტი ასახელებს COVID-19-ის გადატანის შედეგად გამომუშავებულ იმუნიტეტს, 12.0 პროცენტი — ვაქცინის კონკრეტული ბრენდების მიმართ უნდობლობას, 6.1 პროცენტი ასახელებს ზოგიერთ მედიკამენტზე ალერგიას, რესპონდენტების 4.8 პროცენტი თვლის, რომ COVID-19-ით გამოწვეული საფრთხე გაზვიადებულია, 4.0 პროცენტი — ვაქცინის ტესტირება მოსახლეობაზე ხდება, ხოლო 1.2 პროცენტის აზრით ეწინააღმდეგება რელიგიურ შეხედულებებს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რესპონდენტთა პროცენტული წილი COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთებაზე თავის შეკავების ან სურვილის არ ქონის მიზეზების მიხედვით.

დიაგრამა №8

რესპონდენტების პროცენტული წილი COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთებაზე თავის შეკავების ან სურვილის არ ქონის მიზეზების მიხედვით

(%)



გამოკვლევა ასევე ითვალისწინებდა COVID-19-ის გავლენის შეფასებას ბავშვთა ადრეულ განვითარებასა და დისტანციურ სწავლებაზე.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2-5 წლის ასაკის ბავშვებთან ერთად შინამეურნეობის ზრდასრული წევრები გამოკითხვამდე ბოლო სამი დღის განმავლობაში ჩართული იყვნენ აქტივობებში, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის განათლებას და სკოლისთვის მზაობას. ასეთ აქტივობებს შორის ყველაზე გავრცელებულია თამაში (100.0%), ნივთების დასახელება, დათვლა ან ხატვა (91.3%), ილუსტრირებული წიგნების წაკითხვა ან დათვალიერება (87.4%), გარეთ სასეირნოდ გაყვანა (86.9%), ზღაპრების მოყოლა (85.8%) და სიმღერა (81.0%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2-5 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებთან ერთადაც შინამეურნეობის ზრდასრული წევრები ჩართული იყვნენ სხვადასხვა აქტივობაში.

დიაგრამა №9

2-5 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებთან ერთადაც შინამეურნეობის ზრდასრული წევრები ჩართული იყვნენ სხვადასხვა აქტივობაში

(%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 6-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დადიოდნენ ზოგადსაგანმანათლებლო ან სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში ან ესწრებოდნენ სასწავლო პროცესს დისტანციურად 2021-2022 სასწავლო წლის დასაწყისიდან მოყოლებული და გამოკითხვამდე გასული 7 დღის განმავლობაში ესწრებოდნენ სასწავლო პროცესს მხოლოდ საკლასო ოთახში, შეადგენს 71.7 პროცენტს, მათი პროცენტული წილი, ვინც სასწავლო პროცესს მხოლოდ დისტანციურად ესწრებოდა, 21.7 პროცენტია, კომბინირებულად ესწრებოდა ბავშვების 5.0 პროცენტი, ხოლო გამოკითხვამდე გასული 7 დღის განმავლობაში სასწავლო პროცესს არ ესწრებოდა 1.5 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ საქალაქო ტიპის დასახლებებში უფრო მეტად გავრცელებულია სწავლების დისტანციური ფორმა სასოფლო ტიპის დასახლებებთან შედარებით (შესაბამისად 26.4% და 14.4%). საკლასო ოთახში სწავლების ფორმის უფრო მაღალი მაჩვენებელი კი ფიქსირდება სასოფლო ტიპის დასახლებებში, საქალაქო ტიპის დასახლებებთან შედარებით (შესაბამისად 81.4% და 65.6%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ბავშვების პროცენტული განაწილება გამოკითხვამდე გასული 7 დღის განმავლობაში სწავლების ფორმის მიხედვით, დასახლების ტიპის ჭრილში.

დიაგრამა №10

6-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული განაწილება სწავლების ფორმის მიხედვით გასული 7 დღის განმავლობაში

(%)



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტების 57.8 პროცენტი კმაყოფილია დისტანციური სწავლების პერიოდში შინამეურნეობის წევრი 6-17 წლის ასაკის ბავშვისთვის, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დისტანციური სწავლების შეთავაზებული მეთოდებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რესპონდენტების კმაყოფილების პროცენტული განაწილება შინამეურნეობის წევრი ბავშვისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დისტანციური სწავლების შეთავაზებული მეთოდებით.

დიაგრამა №11

რესპონდენტის კმაყოფილების დონე დისტანციური სწავლების შეთავაზებული მეთოდებით

(%)



გამოკვლევის თანახმად, რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ შინამეურნეობის წევრი 6-17 წლის ასაკის ბავშვისთვის სასურველი სწავლების ფორმა არის სასწავლო ოთახში სწავლება (97.3%), სწავლების დისტანციურ ფორმას უპირატესობას ანიჭებს მხოლოდ 0.7 პროცენტი, 1.6 პროცენტს ურჩევნია კომბინირებული სწავლება, ხოლო 0.3 პროცენტი აცხადებს, რომ არ აქვს მნიშვნელობა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რესპონდენტების პროცენტული განაწილება შინამეურნეობის წევრი ბავშვისთვის სასურველი სწავლების ფორმის შესახებ მოსაზრების მიხედვით.

დიაგრამა №12

ბავშვისთვის სასურველი სწავლების ფორმის შესახებ მოსაზრების პროცენტული განაწილება

(%)



შენიშვნა:

- ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600). E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge